



კოალიცია
დამოუკიდებელი
და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის
Coalition for
an Independent and
Transparent Judiciary

კოალიცია საკონსტიტუციო სასამართლოს მოუნოდებს განახორციელოს კონსტიტუციური მართლმსაჯულება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ ეხმაურება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს. მიგვაჩნია, რომ შექმნილი ვითარება ქმნის ე.წ. გახმაურებულ საქმეებზე საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების მიზანმიმართული შეფერხების მცდელობის შთაბეჭდილებას, რაც გავლენას ახდენს საქმის შედეგით დაინტერესებული პირების მდგომარეობაზე. ასევე განვითარებული მოვლენები მნიშვნელოვნად აისახება საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ საზოგადოების განწყობასა და ნდობაზე.

საკონსტიტუციო სასამართლოში ე.წ. გახმაურებულ საქმეების განხილვის დანეგირება გამოიწვია სასამართლოზე პოლიტიკური ბენოლის გაძლიერება. ამასთან, საკანონმდებლო ცვლილებებმა, [რომელიც კოალიციის მიერ არაერთხელ უარყოფითად შეფასდა](#), მნიშვნელოვნად შეამცირა საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტურობა.

ბოლო პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენჯერმე მოუწია საქმის განხილვის გადადება ვკორუმის არარსებობის გამო. ამის პარალელურად საქართველოს პარლამენტმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა ათზე მეტი შუამდგომლობით სხვადასხვა გახმაურებული საქმიდან რიგი მოსამართლეების აცილების თაობაზე, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთმა მოსამართლემ მოითხოვა გახმაურებული საქმეებიდან [თვითგანრიდება](#). ამავდროულად, [გავრცელებული განცხადებები](#) ქმნის ვარაუდის საფუძველს, რომ სარჩელების ე.წ. „გამოცვლის“ მოტივით გარკვეული მოსამართლეები თავს (შე)იკავებენ შესაბამისი საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებისაგან. ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ 2016 წლის პირველი სექტემბერს, საკონსტიტუციო სასამართლოში ჩანიშნული სხდომა ე.წ. უგულავა-კაბელაძის საქმეზე გადაიდო ვკორუმის არარსებობის გამო, მაშინ როდესაც საჭაროდ [გავრცელდა და დადასტურდა ინფორმაცია საქმის განხილველი ერთერთი მოსამართლის არასაქმიან ვითარებაში ყოფნის შესახებ](#).

ზოგადად კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მოსარჩელესა და სასამართლოს შორის ორდინალურ ურთიერთობას წარმოადგენს, არ უნდა იწვევდეს სასამართლოს საქმიანობის შეფერხებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ საკითხი მისი მცირე მნიშვნელობით რეალურ და არსებით გავლენას არ ახდენს სამართალწარმოების პროცესსა და შედეგზე.

ამავე დროს, როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარეობს მოკვლევა სარჩელების ე.წ. „შეცვლასთან“ დაკავშირებით. თუმცა, ამ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



დრომდე ეს პროცესი საჯაროობის გარეშე მიმდინარეობს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ სიტუაციაში, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალობა და საზოგადოებას მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია.

შექმნილი დაძაბული ვითარების განმუხტვა უნდა უზრუნველყოს საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობა მართლმსაჯულება განახორციელოს იმგვარად, რომ არ შექმნას პროცესზე გარე ზეგავლენების განცდა. გვსურს, ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ საკითხის მოკვლევის პარალელურად მოსამართლეებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა საქმეების განხილვაში და საფრთხე არ უნდა შეექმნას კონსტიტუციური მართლმსაჯულების უწყვეტობას. ამასთან, ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავოს პროცესების დამატებითი პოლიტიზირებისგან და იმგვარი თავდასხმებისგან, რაც მიზნად მხოლოდ სასამართლოს, როგორც ინსტიტუცის დისკრედიტაციას ისახავს.

ასევე, აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 30 სექტემბერს საკონსტიტუციო სასამართლოს 4 მოსამართლეს ეწერება უფლებამოსილების ვადა. მნიშვნელოვანია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების არჩევაზე პასუხისმგებელმა სახელმწიფო ორგანოებმა სათანადოდ გაანალიზონ შექმნილი ვითარება და გაითვალისწინონ ზემოხსენებული პრობლემური საკითხები ახალი მოსამართლეების არჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.